



საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო

და დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა №06-01/44

ქ. ბათუმი

06 აგვისტო, 2020 წ.

ბსუ-ს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის დამტკიცების შესახებ

„უმადლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, 33-ე მუხლის მე-4 პუნქტის, ბსუ-ს წესდების მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, აკადემიურმა საბჭომ

და ა დ გ ი ნ ა:

1. ბსუ-ს სასწავლო პროცესი 2020-2021 სასწავლო წელს წარიმართოს (აკადემიური კალენდარი განისაზღვროს) შემდეგ ვადებში:

ა) შემოდგომის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) საბაკალავრო, საბაკალავრო-სამაგისტრო, ერთსაფეხურიან, მაგისტრატურის და დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე (გარდა ინგლისურენოვანი საგანმანათლებლო პროგრამისა) დაიწყოს 2020 წლის 28 სექტემბერს და დასრულდეს 2021 წლის 16 იანვარს.

ბ) 2020 - 2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანა დასრულდეს 2020 წლის 27 სექტემბერს;

გ) საშობაო არდადეგები გამოცხადდეს 2020 წლის 31 დეკემბრიდან 2021 წლის 10 იანვრის ჩათვლით;

დ) შემოდგომის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 18 იანვრიდან 07 თებერვლის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 08 თებერვლიდან 14 თებერვლის ჩათვლით;

ე) გაზაფხულის სემესტრისათვის სტუდენტთა აკადემიურ რეგისტრაციაში ცვლილებების შეტანის პერიოდად განისაზღვროს 2021 წლის 15 თებერვალი - 27 თებერვალი;

ვ) გაზაფხულის სემესტრის სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატორიული სამუშაო) დაიწყოს 2021 წლის 01 მარტს და დასრულდეს 2021 წლის 12 ივნისს.

ზ) გაზაფხულის სემესტრის ძირითადი საგამოცდო სესია ჩატარდეს 2021 წლის 14 ივნისიდან 04 ივლისის ჩათვლით, ხოლო დამატებითი საგამოცდო სესია - 2021 წლის 05 ივლისიდან 11 ივლისის ჩათვლით;

თ) კურსდამთავრებულთათვის კვალიფიკაციის მინიჭება განხორციელდეს 2021 წლის 12 ივლისიდან 16 ივლისის ჩათვლით;

ი) სასწავლო პროცესი (ლექციები/ჯგუფში მუშაობა/სემინარები/ლაბორატო-რიული სამუშაო) ჩატარდეს ყოველ დღე, გარდა შაბათ-კვირისა (საჭიროების შემთხვევაში დასაშვებია ამ მიზნით შაბათის გამოყენება), ფაკულტეტზე შემუშავებული სასწავლო ცხრილების შესაბამისად;

კ) აკადემიური საათი განისაზღვროს 50 წუთით, ხოლო მეცადინეობათა შორის შუალედი - 10 წუთით.

2. საქართველოს მთავრობის ან/და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სამართლებრივი აქტების მოთხოვნათა (რეკომენდაციების) გათვალისწინებით, ბსუ-ში 2020-2021 სასწავლო წლის კალენდრის ცვლილებასთან ან/და სასწავლო პროცესის სრულად ან ნაწილობრივ ელექტრონულად (დისტანციურად) წარმართვის, მათ შორის სასწავლო (სალექციო) ჯგუფებში სტუდენტთა რაოდენობის ცვლილების შესახებ შესაბამისი სამართლებრივი აქტების გამოცემის საჭიროების შემთხვევაში, იგი გამოსცეს ბსუ-ს რექტორმა.

3. სასწავლო პროცესის დეპარტამენტმა უზრუნველყოს 2020-2021 სასწავლო წლის აკადემიური კალენდრის (თანდართული უქმე დღეების ჩამონათვალით) ცხრილის შედგენა და ბსუ-ს ვებგვერდზე განთავსებისათვის ბსუ-ს საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურისათვის წარდგენა.

4. დადგენილება საჯარო გაცნობისათვის განთავსდეს ბსუ-ს კანცელარიასთან და ფაკულტეტების დეკანატებთან თვალსაჩინო ადგილებზე, ბსუ-ს ვებგვერდსა და ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე, ასევე სახელმძღვანელოდ დაეგზავნოს ბსუ-ს ყველა სტრუქტურულ ერთეულებს და მართვის ორგანოს.

5. დადგენილება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე,
რექტორი, ასოცირებული პროფესორი

მერაბ ხალვაში